პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

13 დეკემბერი, ოთხშაბათი, 1961 წ.

№ 203 (1839)

ფასი 2 კაპ.

გამოცემის მე-18 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ მეცადინეობს თქვენი ოჯახი სპორტში?

ასეთი სათაურით გამოაქვეყნა გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა" წერილი, რომელშიც რედაქცია თავის მკითხველებს თხოვს გაუგზავნონ წერილები, სადაც მოთხრობილი იქნება სპორტულ ოჯახებზე — თუ როგორ დაინერგა ოჯახში სპორტული ტრადიციები, როგორ შევიდა თვითეული ადამიანის ყოფაში ფიზიკური კულტურა. ყველაზე საინტერესო წერილები, ფოტოსურათები დაიბეჭდება გაზეთში, სახელდობრ საახალწლო ნომერში.

წერილი უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით:

**Москва, центр. Б. Спасоглинищевский переулок дом № 8, редакция газеты «Советский спорт».**

# უძლიერესი გუნდის გამოსავლინებლად



შეჯიბრების პირველ დღეს მთლიანად არ დამთავრებულა მეორე წრის შეხვედრები. იგი გრძელდებოდა მეორე დღესაც და სწორედ ამ დღეს თბილისელმა მაყურებლებმა იხილეს ორი მეტად მწვავე და საინტერესო გუნდური შეხვედრა, რომლებსაც თავიდან ბოლომდე უკიდურეს დაძაბულობაში ჰყავდა სპორტის სასახლის ტრიბუნები. ამ შეხვედრებში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ღირსეული პარტნიორები — უკრაინა-ესტონეთისა და მოსკოვი-რსფსრ-ს მოჭიდავეები.

ესტონელმა სპორტსმენებმა ჯერ კიდევ პირველ წრეში გამოიჩინეს თავი, როცა დაამარცხეს ძლიერი მოწინააღმდეგე — აზერბაიჯანის ნაკრები ანგარიშით 17:13. მაგრამ ეს შეიძლება ბევრს სასტარტო შემთხვევითობად ჩაეთვალა და რომ ეს შემთხვევითობა არ იყო, ესტონელებმა დაამტკიცეს გასული წლის გუნდური პირველობის მეორე პრიზიორთან — უკრაინის გუნდთან შეხვედრაშიც (სხვათაშორის, გასულ წელს ბალტიისპირელები მხოლოდ მეცხრე ადგილით დაკმაყოფილდნენ). ამ შეხვედრაში ქულების მიხედვით ფიქსირებულ იქნა საყაიმო ანგარიში — 15:15 და მხოლოდ წმინდა მოგებათა რაოდენობის უპირატესობამ მისცა საშუალება უკრაინის გუნდს გამარჯვებულად ჩათვლილიყო.

ფრე იქნა ფიქსირებული მოსკოვისა და რსფსრ-ს კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მატჩშიც. თუმცა აქ ზოგი რამ საეჭვოდ შეიძლება მივიჩნიოთ. როგორც მკითხველისათვის ცნობილია, პირველ წრეში რსფსრ-ს ნაკრებმა განიცადა დამარცხება ბელორუსელებთან შეხვედრაში. შეჯიბრების დებულებით, ორჯერ დამარცხებული გუნდი ითიშება გათამაშებიდან. ეს ბედი მოელოდა რუსეთის ფედერაციის გუნდსაც დამარცხების შემთხვევაში და სწორედ ამან უფრო მეტად განაპირობა მათი თავგამოდებული ბრძოლა ყოველი ქულისათვის. მოსკოველებისათვის კი, პირველ წრეში გამარჯვების შემდეგ, წაგება არ იძლეოდა ასეთ „ტრაგიკულ" შედეგებს, თუმცა მათთვისაც მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გუნდურ ბრძოლაში მოპოვებულ მეორე ქულას. ყოველივე ამის შემდეგ შესაძლებელია დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ ბრძოლის სიმწვავე, რამაც თავი იჩინა როგორც ანგარიშში, ისე მსაჯთა სიფრთხილეში, რომელიც ხშირად ყოვლად გაუმართლებელ ლიბერალობაში გადაიოდა. უკვე მეორე ორთაბრძოლის შემდეგ ანგარიში იყო 4:4. შემდეგ რსფსრ-ს გუნდა გავიდა წინ. მეოთხე წონაში წონასწორობა ისევ აღდგა — 8:8. ამას მოჰყვა ზედიზედ სამი ფრე: კოლესოვ-ზენინის, კიროვ-ანფინოგენოვის და კალინინ-ტკაჩოვის შეხვედრებში (პირველად დასახელებულნი მოსკოვის გუნდის წარმომადგენლები არიან). სწორედ ამ უკანასკნელ ორთაბრძოლაში, როცა პრაქტიკულად წყდებოდა გუნდური ბრძოლის ბედი, მსაჯებმა გამოიჩინეს დაუშვებელი ლიბერალიზმი რსფსრ-ს გუნდის წარმომადგენლის ა. ტკაჩოვის მიმართ, რომელიც ბოლო წუთებში ისე აშკარად გაურბოდა ბრძოლას, რომ აუცილებლად იმსახურებდა მეორე გაფრთხილებას — ანუ ორთაბრძოლიდან მოხსნას. ეს არ მოხდა და მძიმე წონის მოჭიდავეთა ასპარეზობის შემდეგ, რომელშიც ვერცერთმა მხარემ ვერ მოიპოვა უპირატესობა, გუნდურ ბრძოლაში აღინიშნა ანგარიში 15:15. წმინდა მოგებებზე ნაკლები დროის დახარჯვის ნიშნით უპირატესობა მიენიჭა რსფსრ-ს გუნდს.

სხვათაშორის, მსაჯთა ზემოაღნიშნულმა ლიბერალიზმმა შემდეგ ბიძგი მისცა სხვა ასეთივე შეცდომების დაშვებას.

მეორე წრეში ლიტველებმა დაამარცხეს ტაჯიკელები, სომხებმა — ლატვიელები, ლენინგრადელებმა — ყირგიზები, აზერბაიჯანელებმა — უზბეკები, ხოლო ბელორუსებმა — თურქმენები, ორ-ორი დამარცხების გამო შეჯიბრებას გამოეთიშა ოთხი გუნდი: ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთისა და თურქმენეთის,

**საბჭოთა კავშირის 1961 წლის გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში გრძელდება...**

★

მესამე წრის დასაწყისში, რომელიც გუშინ დილით შედგა, ამ კოლექტივების ბედი გაიზიარეს ლატვიისა და მოლდავეთის გუნდებმაც, რომლებიც დამარცხდნენ შესაბამისად — ლიტვასთან და ლენინგრადთან.

ამ წრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო საქართველოსა და სომხეთის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების მატჩი. ორივე გუნდი ერთმანეთთან შეხვედრისათვის მოვიდა დაუმარცხებლად, ორ-ორი გამარჯვებით. ასეთ შემთხვევაში ლაპარაკიც ზედმეტია ბრძოლის პრინციპულობასა და სიმწვავეზე, რომელიც იგრძნობოდა ყოველი წყვილის შერკინებაში.

უმჩატეს წონაში (მოჭიდავეთა წონა 52 კგ-მდეა განსაზღვრული) ზ. მირიანაშვილმა და მ. ჩირკინიანმა ვერ შეძლეს ერთმანეთისაგან ვერცერთი ქულის აღება, თუმცა ორივე მოჭიდავე გაფრთხილებულ იქნა პასიურობისათვის. ამ გაფრთხილების შემდეგ სურათი არ შეცვლილა და მეტოქეებმა ისე ამოსწურეს დრო, რომ მსაჯებმა ვერ დაადგინეს ვერცერთი მხარის უპირატესობა — ფრე.

მსგავსი სურათი გამეორდა მჩატე წონაშიც (52-57 კგ), სადაც ზ. უგრეხელიძე რაღაც მისთვის უჩვეულოდ ფრთხილობდა ა. გუკასიანთან ორთაბრძოლაში. შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს მას ეშინოდა ინიციატივის გამოჩენისა და რაიმე ფანდის ჩატარებისა. ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო ა. გუკასიანმაც. შემდეგ მოჭიდავეებმა მიიღეს გაფრთხილებაც, მაგრამ არცერთ მათგანს არ შეუცვლია ბრძოლის ტაქტიკა. საბოლოოდ — ისევ ფრე.

ეს წონასწორობა დაირღვა ქვემსუბუქ წონაში (57—63 კგ). აქ რ. რურუამ ორთაბრძოლის პირველსავე წუთზე კონტრილეთი დაუხვედრა ს. კაზარიანის ფანდს, თვითონ მოექცა ზევიდან, მეტისმეტად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა მოწინააღმდეგე და.. 3 ქულა მოიპოვა. შემდეგ ჩვენი გუნდის წარმომადგენელი ნაკლებად ფიქრობდა შეტევაზე და მხოლოდ იგერიებდა ს. კაზარიანის გამუდმებულ იერიშებს, რომლებსაც არ მოჰყოლა რაიმე რეალური შედეგი, თუმცა რურუამ გაფრთხილება მიიღო პასიურობისათვის და მისი განმეორების შემთხვევაში წაგებაც კი ემუქრებოდა. ეს არ მოხდა და ჩვენი გუნდი გავიდა წინ — 7:5.

ა. ქორიძემ (63-70 კგ) შესანიშნავი გაკვეთილი ჩაატარა იმისა, თუ როგორ უნდა დასაჯო პასიური ბრძოლისა და მეტოქის ხელებზე „ჩამოკიდების" მოტრფიალენი. მას შემდეგ, რაც მანაც და გ. მნაცაკანიანმაც პირველი გაფრთხილება მიიღეს, ა. ქორიძემ ოსტატურად შეცვალა ბრძოლის წარმოების ტაქტიკა. ძნელი სათქმელია, აპირებდა თუ არა ის რაიმე ფანდის ჩატარებას, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ის გამუდმებით იღებდა შეტევითს პოზიციებს, გამუდმებით მიილტვოდა მოწინააღმდეგისაკენ, ხოლო ეს უკანასკნელი ისევ მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდა. ამის გამო მას მეორე გაფრთხილებაც მიეცა და მოიხსნა ასპარეზიდან.

კარგ სტილში დაამარცხა დ. გვანცელაძემ ქ. მხითარიანი (70-78 კგ). მან ჯერ ერთქულიანი გდება გაუკეთა მეტოქეს, შემდეგ ოსტატურად მოატყუა იგი შეტევის მიმართულებაში და ჩააგდო კრიტიკულ მდგომარეობაში, საიდანაც ქ. მხითარიანმა ძლივს იხსნა თავი. ამით ბრძოლის ბედი ფაქტიურად გადაწყდა — გაიმარჯვა გვანცელაძემ.

გუნდური ბრძოლის ანგარიში გახდა 13:7. ამას მოჰყვა ფ. გველესიანისა და ტ. კოჩახიანის (78—87 კგ) ორმხრივი დამარცხება პასიურობისათვის, ხოლო შემდეგ — ქვემძიმე წონაში (87—97 კგ) რ. აბაშიძის ელვისებური გამარჯვება გ. ბალთიანზე. ამ უკანასკნელმა პირველსავე წუთზე სცადა „ბედი", წამოიწყო შეტევა, რომელიც მაშინვე ჩაკეტა ჩვენმა მოჭიდავემ და კონტრილეთით ბეჭებზე დასცა მოწინააღმდეგე.

მძიმე წონის მოჭიდავეთა შეხვედრისათვის გუნდური ასპარეზობის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. იქნებ ამიტომაც მოხდა, რომ ა. ხაზეიშვილსაც და ა. აბრამიანსაც ორჯერ მიეცათ გაფრთხილება პასიურობისათვის და ორივეს მიესაჯა დამარცხება. საბოლოო ანგარიშია 18:10 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ.

გუშინ, საღამოს დამთავრდა მესამე წრის დანარჩენი შეხვედრები. უკრაინის გუნდმა დაამარცხა აზერბაიჯანის კოლექტივი, რსფსრ-ს მოჭიდავეებმა — ესტონელები, მოსკოველებმა — ბელორუსები. აზერბაიჯანისა და ესტონეთის გუნდები გამოეთიშნენ შეჯიბრებას. მათი ბედი გაიზიარეს სომხებმაც, რომლებიც მეოთხე წრის პირველ შეხვედრაში დამარცხდნენ ლენინგრადელებთან.

**ვ. კუხიანიძე,**

სსრკ დამსახურებული მწვრთნელი,

**შ. ჯულელი.**

როგორც ცნობილია, 11 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ამ დღეს 50 წელი შეუსრულდა ჭიდაობის ვეტერანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელს ა. სენატოროვს. მისმა კოლეგებმა გულთბილად მიულოცეს მას ეს თარიღი.

• • •



**სურათზე:** ა. სენატოროვს (მარცხნივ) დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს საქართველოს სსრ მთავარი მწვრთნელი ჭიდაობაში ვ. კუხიანიძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ოდესელ ფრენბურთელთა წარმატება

ფრენბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის მეორე მატჩი ოდესის „ბურევესტნიკის" ქალთა გუნდმა კვლავ თავისი გამარჯვებით დაამთავრა. მეორე მატჩიც ნეიტრალურ მოედანზე (ლენინგრადში) მიმდინარეობდა. მოსკოვის „დინამოს" ფრენბურთელებმა ვერც ერთი პარტია ვერ მოიგეს და მოედანი დატოვეს დამარცხებულებმა — 0:3.

ეს ოდესის „ბურევესტნიკის" ფრენბურთელთა გუნდის დიდი წარმატებაა. ოდესელებმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

## ბრინჯაოს მედლის მფლობელის ხვედრი

ეს იყო 1956 წელს, ავსტრალიის ქალაქ მელბურნში XVI ოლიმპიური თამაშების დროს. ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ექვსმა უძლიერესმა სპრინტერმა — ამერიკელებმა ბ. მოროუმ, ა. მერჩისონმა, ტ. ბეიკერმა, ტრინიდადელმა ა. აგოსტინიმ, გერმანელმა გ. გერმანმა და ავსტრალიელმა ჰ. ჰოგენმა. მესტარტის ნიშანზე სპორტსმენები ტყვიასავით მოწყდნენ საწყისს. ბ. მოროუ ოდნავ შეყოვნდა და წინ გაუშვა ა. მერჩისონი და ჰ. ჰოგენი. „კრიკეტ გრაუნდის" სტადიონზე შეკრებილი 100 ათასი მაყურებელი შეძახილებით ამხნევებდა თავის თანამემამულეს ჰოგენს, რომელიც მერჩისონთან მხარდამხარ ფინიშს უახლოვდებოდა. სანუკვარ გამარჯვებამდე 30 მეტრი იყო დარჩენილი, რომ მძლავრი ბიძგით დაწინაურებულებს გაუთანასწორდნენ მოროუ და ბეიკერი. შემდეგ ეს ორი სპორტსმენი წინ გაიჭრა და თითქმის ერთდროულად შეეხო ფინიშის ლენტს. ფოტოფინიშმა გამარჯვებულად „სცნო" მოროუ. მესამე ადგილი წილად ხვდა ჰ. ჰოგენს. დიდი იყო ავსტრალიელ სპორტის მოყვარულთა სიხარული, როცა გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე მათი თანამემამულე დადგა, რომელიც მხოლოდ 0,1 წამით ჩამორჩა პირველ-მეორე ადგილზე გამოსულებს.

მაგრამ ეს არ იყო მთავარი. 1900 წელს პარიზში გამართულ II ოლიმპიური თამაშების შემდეგ, სადაც ავსტრალიელი სტენლი როული მესამე იყო 100 მეტრის რბენის ფინიშთან, ავსტრალიას ასეთი დიდი წარმატება ოლიმპიურ თამაშებზე არ მოუპოვებია. ამიტომ იყო აქ აღფრთოვანებით შეხვდნენ ჰ. ჰოგენის წარმატებას. იგი ხელში აყვანილი გაიყვანეს სტადიონიდან. შემდეგ გულთბილი შეხვედრები, გაზეთის ფურცლებზე ქება-დიდება და სულ მალე ყველაფერი დავიწყებას მიეცა. იგი მელბურნის ოლიმპიადის შემდეგ არავის გახსენებია.

მძიმე ავადმყოფობით ლოგინად ჩავარდნილმა ჰ. ჰოგენმა მხოლოდ რადიომიმღების საშუალებით გაიგო რომის ოლიმპიურ თამაშებზე მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრების შედეგი 100 მეტრზე რბენაში. ოლიმპიური თამაშების ყოფილ პრიზიორს თვალებზე ცრემლი მოადგა. ავადმყოფობისაგან განკურნება არც თუ ისე ძნელი იყო ოდნავ შეძლებული ავსტრალიელისათვის. ჰოგენს კი ექიმის მოყვანის, წამლების შეძენის საშუალებაც კი არ ჰქონდა და იგი ჯავრითა თუ შიმშილით გარდაიცვალა.

ავსტრალიელთა ერთ დროს სათაყვანებელმა სპორტსმენმა მხოლოდ ორი სამახსოვრო დატოვა — ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალი და ღარიბი ცოლ-შვილი.

# ხელბურთი მეტი ყურადღების ღირსია

ჩვენს ქვეყანაში ხელბურთი (7:7) დიდი ხანი არაა რაც დამკვიდრდა, მაგრამ მან უკვე მოიპოვა დიდი პოპულარობა. საქართველოში ხელბურთის განვითარების ისტორია სულ ხუთიოდე წელს მოიცავს. რაშიც არსებითი წვლილი ჯერჯერობით მხოლოდ ორ სპორტულ საზოგადოებას — „ბურევესტნიკსა" და „განთიადს" მიუძღვის. ძირითადად ხელბურთელთა გუნდები შექმნილია თბილისში, სადაც სექციები მუშაობენ სახელმწიფო უნივერსიტეტში (მწვრთნელები ცერცვაძე და ჩახავა), პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (მწვრთნელი ანთაძე), უცხო ენათა ინსტიტუტში (მწვრთნელი კოპალეიშვილი), პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (მწვრთნელი ბათმანოვი), ხელბურთის თამაშის შემსწავლელი ორი ჯგუფი ჩამოყალიბებულია აგრეთვე სამედიცინო ინსტიტუტშიც. სპორტსაზოგადოება „განთიადში" წვრთნას გადიან როგორც მოზრდილთა, ისე მოზარდთა გუნდები.

ხელბურთელთა გუნდები შექმნილია აჭარაში, სადაც ამ საქმეს საზოგადოებრივ საწყისებზე სათავეში უდგას ხელბურთის ენთუზიასტი ე. თხილაიშვილი. აჭარის ნაკრებში ჩვენ გვყავს კარგი პერსპექტივის მქონე მოთამაშეები — მაჭავარიანი, შანიძე, კოვპიკი და სხვ. პატარა ბურთით თამაშის სექციები მუშაობენ აგრეთვე სოხუმში, რუსთავში, ქუთაისში, ცხინვალსა და ფოთში. სწორედ ამ ქალაქების გუნდები მიიღებენ მონაწილეობას საქართველოს 1962 წლის პირველობაზე, რომელიც მომავალი წლის იანვარს გაიმართება ფოთში. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ პერიფერიებში და დედაქალაქშიც კი ხელბურთელების წვრთნა და ახალი გუნდების დაკომპლექტება ჯერჯერობით ძირითადად საზოგადოებრივ საწყისებზე ხდება და ენთუზიასტთა მზრუნველობის საგანია. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ საჭიროა ხელბურთს ჰქონდეს გარკვეული მატერიალური ბაზაც — შეიქმნას მუდმივმოქმედი სექციები, ისევე როგორც ეს ფეხბურთში, კალათბურთში, ჭიდაობაში და სპორტის სხვა სახეობებში გვაქვს.

მოზარდთა შორის ზაპოროჟიეში ჩატარებულ უკანასკნელ საკავშირო პირველობაზე ჩვენი რესპუბლიკის სახელდახელოდ დაკომპლექტებულმა ჭაბუკთა და გოგონათა ნაკრებმა გუნდებმა შესაბამისად IV და VII ადგილები დაიკავეს. ვიმეორებთ, რომ ეს შედეგი მოიპოვეს სახელდახელოდ დაკომპლექტებულმა გუნდებმა. მაგრამ სკოლებში ხელბურთი ისევე რომ იყოს დანერგილი, როგორც სპორტის სხვა სახეობები, საპრიზო ადგილიც უზრუნველყოფილი გვექნებოდა.

1962 წელს რიგაში განზრახულია ჩატარდეს საკავშირო ჩემპიონატი ხელბურთში განათლების სამინისტროების სკოლების ხაზით. როგორ უნდა ვემზადოთ ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის, როცა საქართველოს საშუალო და ბავშვთა სპორტულ სკოლებში ხელბურთის სექციები თითქმის არ გვყავს? სპორტსაზოგადოება „განთიადში" მეცადინეობს 2 ჯგუფი, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სკოლების ნაკრებ ჯგუფს საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებს მწვრთნელი ა. ბათმანოვი. აი სულ ესაა ჩვენი რეზერვის წყარო.

რა უნდა ვიღონოთ მდგომარეობის გამოსწორებისათვის? რომ მოზრდილთა გუნდებს სათანადოდ მომზადებული რეზერვი ჰყავდეთ საჭიროა რესპუბლიკის სკოლებში ხელბურთელთა თითო (ჭაბუკთა ან გოგონათა) ჯგუფი მაინც შევქმნათ. ასეთ პირობებში შეჯიბრებათა მოწყობისა და საუკეთესო გუნდების გამოვლინების საშუალება გვექნება. თუ ახლა რესპუბლიკაში მხოლოდ 2 სპორტის ოსტატი და 60 პირველთანრიგოსანი ხელბურთელი გვყავს, უახლოეს ორ წელიწადში ასეთი მუშაობით მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზრდებოდა.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ, რადგან რესპუბლიკურ და საკავშირო სპარტაკიადების პროგრამაში ხელბურთი არაა შეტანილი, მასზე ზრუნვაც ზედმეტია. ასეთი მსჯელობა მცდარია და შეიძლება ითქვას, მავნეც. ამ ამხანაგებმა უნდა იცოდნენ, რომ ხელბურთი უახლოეს მომავალში ბავშვთა შორისაც ერთ-ერთ წამყვან სახეობად იქცევა, მას შეიტანენ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების პროგრამაშიც.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციას თავის მხრივ შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს სპორტის ამ სახეობის ენთუზიასტთა დასახმარებლად. თუნდაც ერთი საკითხი: ზაფხულის პირობებში პიონერთა ბანაკებში ხელბურთელთა გუნდების ჩამოყალიბება და საქალაქო და მიკრორაიონების შეჯიბრების ჩატარების ორგანიზაცია. ამ საქმის განხორციელება შეიძლებოდა კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად. თუ ამას ვითავებდით, ხელბურთის ფედერაცია გამოჰყოფდა კვალიფიციურ მწვრთნელებს, რომლებიც შესაფერის დროს ჩაატარებდნენ საქალაქო თუ ზონალურ სემინარებს პიონერხელმძღვანელებისათვის, თუნდაც სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებისათვის. უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი გამოცდილება უკვე არის ჩვენს მეზობელ რესპუბლიკაში — აზერბაიჯანში, სადაც უკვე კარგა ხანია ტარდება შეჯიბრებები ხელბურთში პიონერულ რაზმეულებს შორის.

ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი წინადადება. როგორც ცნობილია, თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში სტუდენტები სპეციალდებიან სპორტის სხვადასხვა სახეობებში, მაგრამ რატომღაც ხელბურთში სპეციალიზაციის საქმეს ჯერჯერობით თავი ვერ მოაბეს, ეს საქმე კი მოგვარებულია მოსკოვის, კაუნასის, კიევის, ერევნისა და სხვა ქალაქების ფიზკულტურის ინსტიტუტებში.

რამდენიმე სიტყვა მომავალ საინტერესო შეხვედრათა შესახებ. როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი გუნდები თბილისის „ბურევესტნიკის" ქალთა და ვაჟთა გუნდებია. წელს ჩვენს ვაჟებს ექნებათ შეხვედრები ისეთ ძლიერ გუნდებთან, როგორებიც არიან: მოსკოვის „ტრუდი" (1961 წელს საბჭოთა კავშირის უძლიერესი გუნდების ტურნირში გამარჯვებული) და კიევის „ბურევესტნიკი" (მართალია გუნდმა უძლიერესთა ტურნირში IV ადგილი მოიპოვა, მაგრამ ამ კოლექტივს ხელბურთის საკავშირო ფედერაციამ უფლება მისცა მონაწილეობა მიიღოს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში). პირველ გუნდთან შეხვედრები ჩატარდება 16-17 დეკემბერს, მეორესთან — 29-30 დეკემბერს. ამ გუნდებთან მატჩები ქართველი ხელბურთელებისათვის კიდევ ერთი სერიოზული გამოცდა იქნება. გარდა ამისა, თბილისში საინტერესო მატჩებს ვიხილავთ მომავალ წელსაც. თებერვლის დასაწყისში თბილისში ჩატარდება საკავშირო ტურნირი ქალთა და ვაჟთა გუნდებისათვის „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე. მარტის თვეში თბილისშივე ჩატარდება სსრ კავშირის ჩემპიონატის ზონალური შეჯიბრება მოსკოვის, ბაქოს, ერევნის, უზბეკეთისა და თბილისის გუნდების მონაწილეობით. I-II ადგილებზე გამოსული გუნდები ითამაშებენ ფინალში, რომელიც აპრილში ჩატარდება კაუნასში, არანაკლებ საინტერესო შეხვედრები იქნება თბილისში სტუდენტთა საკავშირო თამაშებზე იელისში, სადაც პირველობისათვის იბრძოლებს ხელბურთელთა გუნდების სარეკორდო რაოდენობა (48 გუნდი). დაგეგმილია აგრეთვე საერთაშორისო შეხვედრები პოლონეთისა და რუმინეთის ხელბურთელებთან.

როგორც ვხედავთ, ქართული ხელბურთი ფეხს იდგამს, გზას იკაფავს დიდი სარბიელისაკენ. ქართული ხელბურთი მიაღწევს მიაღწევს რაზმი მიაღწევს წარმატებებს იმ შემთხვევაში, თუ მას სათანადო რეზერვი ეყოლება.

**გ. შარაშიძე,**
საქართველოს სსრ ხელბურთის ფედერაციის თავმჯდომარე.

**ჯ. ენუქიძე.**

# 240 წუთი... უხეშობაში

13 წლის ისტორია აქვს თბილისის ფეხბურთელთა ტრადიციულ გათამაშებას სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასზე. ამ შეჯიბრებაში სისტემატურად მონაწილეობენ ქალაქის საუკეთესო გუნდები, ვლინდებიან ახალი კადრები და ბრძოლა საპატიო პრიზისათვის, როგორც წესი, მიმდინარეობს დაძაბულ, მწვავე ვითარებაში.

კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშება დიდმნიშვნელოვანია კიდევ იმით, რომ ფაქტიურად ესაა საქალაქო მასშტაბის უკანასკნელი დიდი შეჯიბრება წლის დასასრულს და იგი თავისებურად ჯამებს სეზონის განმავლობაში ჩატარებულ მუშაობას საფეხბურთო კოლექტივებში, ამიტომ მონაწილეობენ თბილისის გუნდები ამ ტურნირში დიდი ინტერესით და მაყურებლებიც ხალისით ესწრებიან მატჩებს.

ასე იყო ამჯერადაც. 50-მდე გუნდმა განაცხადა გათამაშებაში მონაწილეობის სურვილი. მათს შორის იყვნენ უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოების, ფაბრიკა-ქარხნების საუკეთესო კოლექტივები. ბრძოლის სიმწვავეზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის, „ისნის", ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ქალაქის არმიელთა ძლიერი გუნდები შეჯიბრებიდან გამოითიშნენ ჯერ კიდევ მეოთხედფინალამდე. კონსტიტუციის სახელობის თასის 1961 წლის გათამაშება ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იქნებოდა, რომ...

პირველი სკანდალი მოხდა ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოსა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდების შეხვედრაში. პირველი ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ადგილმრეწვის სამმართველოს გუნდის თავდამსხმელს თ. მიქაძეს მოწინააღმდეგე მცველები აშკარად უხეშად მოეპყრნენ, რის შემდეგ ფორვარდმა არ დააყოვნა „ხურდა" დაებრუნებინა თავისი „ოპონენტებისათვის" და ერთ-ერთ მათგანს უბურთოდ მოარტყა ფეხი. მატჩის მსაჯმა ო. უშვერიძემ შეამჩნია ეს უხეშობა და, რა თქმა უნდა, მინდვრიდან გააძევა თ. მიქაძე. ეს უკანასკნელი დაემორჩილა მსაჯის განკარგულებას, მაგრამ მინდვრიდან გასვლის წინ „საჩუქრად" ორსართულიანი გინება უძღვნა მას. ო. უშვერიძემ არ ისურვა ვალში დარჩენოდა მის მიერვე გაძევებულ მოთამაშეს და გინებაზე გინებით უპასუხა (?!).

„მჩქეფარე ტემპერამენტთა" ეს გაცვლა-გამოცვლა ამაზე არ შეწყვეტილა. თ. მიქაძემ იუკადრისა ეს საპასუხო ლანძღვა. მიუბრუნდა მსაჯს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას. და ეს აღმაშფოთებელი, ყოვლად შეუწყნარებელი საქციელი ჩაიდინა გამოცდილმა, სტაჟიანმა სპორტსმენმა, რომელიც წლების მანძილზე თამაშობდა ჩვენი რესპუბლიკის ოსტატთა გუნდებში.

თამაში ჩაიშალა. თბილისის ფეხბურთის სექციის პრეზიდიუმმა იმსჯელა აღნიშნულ ინციდენტზე, სათანადო სასჯელები დაადო დამნაშავეებს და წაგება ჩაუთვალა ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს გუნდს.

ამ სამწუხარო ნახევარფინალის შემდეგ ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები.

ეს არ იყო ჩვეულებრივი მატჩი. ფინალისტები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორივე დღეს საჭირო გახდა დამატებითი დროის დანიშვნა, რათა გამოვლენილიყო 1961 წლის თასის მფლობელი. 240 წუთი გაატარეს ფეხბურთელებმა მინდორზე, მაგრამ არ იფიქროთ, რომ მაყურებლები ორი დღის განმავლობაში გატაცებული იყვნენ საინტერესო ბრძოლით და თვალს ვერ წყვეტდნენ დიდ ბურთს. არა. ორივე გუნდი თამაშობდა უაღრესად დაბალ ტექნიკურ დონეზე, ხოლო ტაქტიკა ძირითადად შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმულით: „ურტყი და ირბინე", ფეხბურთელები უსის-

(დასასრული იხ. მე-4 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტი ქალაქებსა და რაიონებში

✧

### მაიაკოვსკი

აქ დამთავრდა მასობრივი ტურნირი ჭადრაკში. ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა გ. მჟავანაძემ (სოფ. როხის კოლმეურნეობა), რომელმაც ყველა პარტია მოიგო. მეორე ადგილზეა ვ. ადამია (სატყეო მეურნეობა). გ. მჟავანაძე მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ მასობრივ ტურნირში.

გ. ლოლომაძე

### ქუთაისი

ყრუ-მუნჯთა საზოგადოებაში გაიმართა შეჯიბრებები ჭადრაკში, შაშში და მაგიდის ჩოგბურთში.

სამივე სახეობაში პირველობა დაისაკუთრა მ. გიგიაძემ. ქალთა შორის ჭადრაკში პირველი იყო მგელაძე, მაგიდის ჩოგბურთში — ცქიფურიშვილი, ხოლო შაშში — კობახია.

მ. ტურაბელიძე

### ცხინვალი

ცხინვალში ჩატარდა შეჯიბრება სამხრეთ ოსეთის 1961 წლის ფალავნობაზე ქართულ ჭიდაობაში. მონაწილეობდა ქვეხაშუალო, საშუალო, ქვემძიმე და მძიმე წონის 14 მოჭიდავე. ყველა შეხვედრა დაუმორცხებლად ჩაატარა და ფალავნის წოდება მოიპოვა ზნაურის რაიონის წარმომადგენელმა გ. გაბარაევმა.

პ. მელქოევი

★

შრომაც იციან ნატანების კოლმეურნეებმა და კულტურული დასვენებაც. თავისუფალ დროს ბევრი საკუთარი ჯანმრთელობის გასაკაჟებლად იყენებს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: კოლმეურნე ვ. თავაძე სიმძიმეების წევის ხელოვნებას აცნობს თანასოფლელ ახალგაზრდებს.

ფოტო გ. თარალაშვილისა.

★



# ლათინურ ამერიკაში

არგენტინაში გამარჯვების შემდეგ ჩილის პრესა ზომიერი პროგნოზებით, ხალხი კი მეტი ინტერესით დაგვხვდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ პოლიცია ხანძრო წესით ფანტავდა სტადიონთან ფუტკარივით არეულ უბილეთოდ დარჩენილებს, მიუხედავად იმისა, რომ ბილეთის ფასი იმ დღეს 80 დოლარამდე ავიდა.

სანტ-იაგო ძლიერ ჩამოგავს თბილისს, მსგავსებას მისი ფუნიკულიორიც აძლიერებს, საიდანაც ხელისგულზე იშლება ქალაქი.

ჩილელ ფეხბურთელთა კლასი არგენტინელებზე გაცილებით დაბალია, მაგრამ ვიცოდით, რომ გუნდის მწვრთნელი ფ. რიერა ჩვენი წინა თამაშების ანალიზზე მნიშვნელოვნად გარდაქმნიდა გუნდის ძალებს. ამ მიზნით ჩილის ჩემპიონატის კალენდარიც კი შეცვალეს და ეროვნული ნაკრები 12 დღეს ემზადებოდა ამ მატჩისათვის. ბრძოლა უნდა ყოფილიყო დაძაბული და საინტერესო. პროგნოზი გამართლდა.

ფეხმარდმა მცველებმა ეისაგუირემ და ნავარომ, რომლებსაც დროულად ეხმარებოდნენ გარემარბები მორენო და რამირესი, პერსონალური მეურვეობის ქვეშ აიყვანეს მესხი და მეტრეველი. ფიზიკურად ძლიერი ნახევარმცველი როხასი კი ამ დღეს უშეცდომოდ თამაშობდა.

შეტევის სიმძიმე ცენტრზე გადავიტანეთ, მაგრამ მეკარე ესკუტი შორიდან დარტყმულ ბურთებს ადვილად იღებდა. ჩილელთა ახალგაზრდული გუნდის კარგი ფიზიკური მომზადება და სისწრაფე შესანიშნავად აბალანსებდა არგენტინელებთან შედარებით მდარე ტექნიკას. მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლებმა ზედიზედ სამი კუთხური მოაწოდეს, მაგრამ თავდამსხმელებიდან დამამთავრებელი დარტყმის ხელოვნებას სათანადოდ ვერავინ ფლობდა. მეკარესთან პირისპირ გასულმა მორენომაც კი დაკარგა გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა.

ამ მომენტიდან ორი წუთის გასვლის შემდეგ მე შესაძლებლობა მომეცა ბურთი წამერთვა რამირესისათვის. მცირე რეიდით გავედი ცენტრის ხაზს იქით და ბურთი საჯარიმო მოედანზე ჩავაწოდე. აქ პონედელნიკთან ბრძოლაში მცველმა უკან დააბრუნა ბურთი, რომელსაც მამიკინმა მიუსწრო და შეუჩერებლივ გაგზავნა კარში — 1:0.

ანგარიში აღარ შეცვლილა და ახიათახიანი მაყურებლის ტაშის გრიალში გამარჯვებულებმა დავტოვეთ „ესტადიო ნაციონალეს" მოედანი, სადაც 30 მაისს აფრიალდება მსოფლიოს VII პირველობის მაუწყებელი ალამი. ჩილეში ჩვენი პირველი გამოცდა ბრწყინვალედ ჩავაბარეთ, ვნახოთ რას მოგვიტანს მომავალი.

„რუსებმა დაუმარცხებლად არ უნდა დატოვონ ამერიკა!" — აი ურუგვაის გაზეთების საერთო აზრი მონტევიდეოში ჩვენი ჩასვლის დროს. სამხრეთ ამერიკის გუნდებიდან ჩვენთვის ყველაზე საშიში მართლაც ურუგვაელები იყვნენ. მათ ორჯერ ეპყრათ ხელთ მსოფლიოს პირველობა და ახლაც მის რეალურ პრეტენდენტებად ითვლებიან.

ურუგვაელთა თამაშში იგრძნობოდა არგენტინელთა ვირტუოზული ტექნიკის შერწყმა ჩილელთა მონდომებასა და სისწრაფესთან. ეს ჯერ კიდევ ადრე ვიხილეთ პირველი ლიგის საკლუბო გუნდების „პენიაროლისა" და „ნასიონალეს" ფინალური მატჩის დროს.

თამაში თამაშია, მაგრამ იქაურ მაყურებელთა ქომაგობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. როცა არგენტინული წარმოშობის როდრიგესმა „პენიაროლის" კარში პირველი ბურთი გაიტანა, იგი გაქანდა „ნასიონალეს" ტრიბუნისაკენ (მოწინააღმდეგენი თავიანთი კლუბის დროშებითა და ვიმპელებით სხვადასხვა მხარეს სხედან) და დირიჟორივით აიქნია ხელი. დიდხანს არ დამცხრალა ფეხზე წამომდგარ მაყურებელთა ყიჟინა და საკლუბო გუნდის მადიდებელი ჰიმნი. ეს განმეორდა კიდევ ერთხელ.

მეორე ტაიმმა სიხარული „პენიაროლის" გულშემატკივრებს მოუტანა — სამჯერ შეირხა „ნასიონალეს" კარის ბადე და სამჯერ ააზანზარა „სენტენარიოს" სტადიონი გულშემატკივართა სიმღერამ, რასაც პისტოლეტების სალუტიც ერთვოდა.

მავთულხლართები და პოლიცია უძლური აღმოჩნდა ბედნიერ გულშემატკივართა დასაოკებლად. მინდორზე გადასულმა ხალხმა ერთ წამში გააძრო ტანსაცმელი თავის მოთამაშეებს და ველური ყიჟინით დაიწყო გაოფლილი მაისურების კოცნა. იმ ღამეს გაუთავებლად ისმოდა ქუჩებში ავტოკოლონებით მოარულ გულშემატკივართა ღრიანცელი.

ბურთი ურუგვაიში ყველაფერია. იგი იქ ხალხის სულიერ საზრდოს წარმოადგენს. მისდამი ფანატიკურ სიყვარულს მონტევიდეოს პლაჟზეც ხშირად ვხედავდით: ხანში შესული დარბაისელი მამაკაცები სილაში არჭობდნენ სარებს და პატარა ბავშვებს კარში დარტყმის საიდუმლოებას აცნობდნენ.

ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მატჩის წინ განაცხადა: — „თუ რუსები ჩვენებსაც მოუგებენ, მე რადიოთი ვაუწყებ ხალხს, რომ ისინი ერთ-ერთი უძლიერესნი არიან მსოფლიოში".

... როგორც ჩანს, მასპინძლებმა ჩვენი გატეხვა პირველივე წუთებში განიზრახეს და რაღაც ჯოჯოხეთური ტემპი შემოგვთავაზეს, იაშინის კატეხებურმა ნახტომებმა რამდენჯერმე იხსნა ჩვენი კარი. მასპინძლები იშვიათი სისწრაფით ასრულებდნენ დრიბლინგებსა და ცრუ მოძრაობებს, მაგრამ ამ გიჟურ ტემპს თვით ურუგვაელებმა ვერ გაუძლეს. ინიციატივამ თანდათან ჩვენს მხარეს გადმოინაცვლა და ნეტო-პონედელნიკ-გუსაროვის კომბინაცია გოლით დაგვირგვინდა.

ორი წუთის შემდეგ ესპანური წარმოშობის კუბილამ, რომელიც ურუგვაელთა საუკეთესო მოთამაშეს წარმოადგენს, მახვილგონივრულად აართვა ბურთი ოსტროვსკის და მეკარესთან პირისპირ გასულმა ანგარიში გაათანაბრა.

დარჩენილ დროში პონედელნიკმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი და საბჭოთა ფეხბურთელებმა უკანასკნელი მატჩიც გამარჯვებით დააგვირგვინეს.

—რას იტყვით თქვენს პირობაზე რადიოთი გამოსვლის შესახებ? — ხუმრობით შეეკითხა „ფუტბოლის" რედაქტორი მ. მერჟანოვი ურუგვაელთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს. მასპინძელმა ხელები ასწია: „პირობა განაღდებული იქნება".

საბჭოთა ფეხბურთელთა ტურნე უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ბევრი რამ შევითვისეთ და გადავიღეთ სამხრეთ ამერიკელი ფეხბურთელებისაგან, თავის მხრივ მათაც ბევრი საყურადღებო გაიგეს ჩვენი საფეხბურთო სკოლის შესახებ. ეს ნაცნობობა ორივეს გამოგვადგება მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადების პერიოდში.

მდიდარი შთაბეჭდილებებით აღსავსეებს მძიმე წუთების გადატანა მოგვიხდა უკან დაბრუნების დროს. აფრიკაზე გადაფრენისას ჩვენი თვითმფრინავი ორი საათის განმავლობაში მძლავრი ქარიშხლის სტიქიაში იყო მოქცეული. მაგრამ ყველაფერი კეთილად დამთავრდა. შინ გამარჯვებულნი დავბრუნდით და მთელი ნაკრები, მისი ყოველი წევრი ახლა მომავალი დიდი ბრძოლების მოლოდინითაა გამსჭვალული, რომელიც ჩილეში მოგველის მომავალ წელს.

გ. ჩოხელი.

სპორტის ოსტატი.

* დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 202.

ბრაზილიურ საკლუბო გუნდს „სანტოსს", რომელიც პელეს გუნდის სახელითაცაა ცნობილი, თავის ემბლემად პირში პაპიროსგაჩრილი და ფართლებქვეშ ბურთამოდებული ლოქო აურჩევია.

შეიძლება იმიტომ, რომ იქაური ფეხბურთელები მოედანზე თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: „სანტოსის" კლუბის ემბლემა.




# ლელო

# ინსბრუკი — IX ოლიმპიადის ცენტრი

მოთხილამურეთა შეჯიბრებები ინსბრუკისათვის, ალპებში განლაგებული ამ ქალაქისათვის ახალი ხილი როდია, მაგრამ ზამთრის IX ოლიმპიური თამაშები მაინც სულ სხვაა. იგი უფრო გრანდიოზული იქნება, ვიდრე მაგალ-თად, კორტ ნა დამპეცოს VII თამაშები და ან თუ გნებავთ სკვო ველის VIII ოლიმპიადა.

ავსტრიის სპორტის მოყვარულები და სპეციალისტები საკმაო რაოდენობით იყვნენ ორივე წინა ოლიმპიადაზე. მათ აქ ნახეს შეჯიბრების შესანიშნავი ორგანიზაცია, პირველხარისხოვანი ბაზები. მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო და თავმოყვარე ავსტრიელებს არ სურთ ჩამორჩნენ არა მარტო სამხრეთელ მეზობლებს, არამედ ოკეანის გაღმელებსაც.

IX ოლიმპიადის ორგანიზატორები თავიანთ მოსამზადებელ საქმიანობაში მიისწრაფიან იქით, რათა ინსბრუკის ოლიმპიურ ღონისძიებას მისცენ ნამდვილი „ოლიმპიური სული", იგი გადააქციონ ხალხთა მეგობრობის სიმბოლოდ!

უკვე მიმდინარე წლის შუა ზაფხულში გაჩაღდა ოლიმპიური მშენებლობანი ინსბრუკში და იგი უდიდესია ავსტრიის ყველა მშენებლობათა შორის. ერთდროულად მიმდინარეობს ოლიმპიური სოფლის, ყინულის სტადიონის, ბერგიზელზე ტრამპლინების მშენებლობა. ოლიმპიურ სოფელში დაგეგმილი იყო და უკვე მიმდინარეობს 8 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მოწყობა.

მშენებლები დიდ ყურადღებას უთმობენ ოლიმპიური ტრამპლინების მშენებლობას ბერგიზელზე. ამჟამად აქ ეწყობა არეკნის ახალი ბაქანი, რომელიც ძველისაგან განსხვავებით 8 მეტრით „დაიწევს" უკან. შენდება ბერძნული ამფითეატრის ტიპის ტრიბუნები 60 ათასი მაყურებლისათვის და იგი იქნება ულამაზესი მთელს მსოფლიოში. როგორც ექსპერტები ამბობენ, იგი ზაფხულობით გამოყენებული იქნება სპექტაკლების მოსაწყობადაც. მართალია, ოლიმპიურ თამაშებამდე დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ ტრამპლინმა გამოცდა უნდა ჩააბაროს მიმდინარე თვის დამლევს, როცა სწორედ ამ ტრამპლინზე 30 დეკემბერს გაიმართება ტრადიციული 4 ტრამპლინის ტურნირის ერთ-ერთი ტური.

სწრაფი ტემპით შენდება ყინულის სტადიონი ტივოლის უბანში და ბობსლეის ტრასა კურორტ ინგლსის მხარეს პაილიგვასერვიზზე. აქ წელსვე სურთ დაამთავრონ რთული მოსახვევების დაბეტონება, რათა შემდეგში შესაძლებელი გახდეს ვაჟთა სწრაფდაშვების ჩატარება უშუალოდ ინსბრუკის ახლოს. იგი იწყება პაჩერკოფელზე და პაილიგვასერვიზზე გაყოლებით ჩამოვა ინსბრუკამდე.

ჰოალდის მიდამოებში დასასრულს უახლოვდება სხვა ოლიმპიური ტრასების მშენებლობაც, რომელსაც აკსამსკის სათხილამურო კლუბის უფროსის ე. აპელის ხელმძღვანელობით აწარმოებდა ავსტრიის არმიის ე. წ. „ოლიმპიური ნაწილი". გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ქალთა გიგანტური სლალომის ტრასა, რომელიც მართალია უკვე გაყვანილია, მაგრამ სამუშაოები ჯერ კიდევ ბევრია შესასრულებელი.

წარმოუდგენლად დამქანცველი აღმოჩნდა ზეფელდში სათხილამურო რბენისათვის 8 ტრასის მოწყობის სამუშაოები და აქაც ფ. რესნერის, აგრეთვე ზეეფელდის სათხილამურო კლუბის თანამშრომლების შ. და პ. პაუსვიცკების ხელმძღვანელობით სამუშაოთა მთელი სიმძიმე თავიანთ კისერზე გადაიტანეს ავსტრიის არმიის ნაწილებმა.

თუ რა მუშაობა შესრულდა ყველა ამ ტრასების მოწყობაზე, ნათელი გახდება შემდეგი ციფრობრივი მონაცემებით: მოიჭრა 3600 ძირი ხე და დაიხარჯა 11 ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება. მარტო ვაჟთა სლალომის ტრასის მშენებლობამ შეიწირა 1000 ძირი ხე. მის გაჩეხვაზე, ტრასის დაგეგმვაზე და ბალახის დათესვაზე 120 კაცმა 40 ათასამდე საათი იმუშავა. 800 ხე მოიჭრა ქალთა სლალომისა და ვაჟთა გიგანტური სლალომის ტრასაზე. აქ მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ასაფეთქებელი და გასასუფთავებელია, ბალახის დათესვა კი გაზაფხულისათვის გადაიდო. ქალთა გიგანტური სლალომის ტრასაზე მოიჭრა 1100 ძირი ხე.

სამუშაოები მთელ რიგ უბნებზე გაგრძელდება ზამთრის პერიოდშიც, და ამდენად, ჰოალდის რაიონი უკვე წელს, ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ორი წლით ადრე, გადაიქცევა სათხილამურო ცენტრად, რადგან მშენებლებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ ოლიმპიური ტრასებით, ამასთან ვარაუდობენ, რომ ათასობით ინსბრუკელი საკუთარი თხილამურებით გაისეირნებს ამ მიდამოებში, თვითონვე „შეამოწმებენ" ბაზებს, მოაწყობენ მასობრივ შეჯიბრებებს.

ერთი სიტყვით, ავსტრიელები ჯერჯერობით წარმატებით ართმევენ თავს ზამთრის მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის სამზადისს.

## მესამე გამარჯვება ეკვადორში

მესამე საერთაშორისო მატჩი ეკვადორში თბილისის დინამოელ ფეხბურთელთა კოლექტივმა კვლავ თავისი გამარჯვებით დაამთავრა. ამჯერად თბილისელთა მოწინააღმდეგე იყო ეკვადორის დედაქალაქის კიტოს ნაკრები. პირველ ტაიმში ეკვადორელ ფეხბურთელთა კარი აიღო შ. იამანიძემ. 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ. ასე დამთავრდა თამაშის პირველი ნახევარი. მეორე ტაიმში მასპინძლები ახერხებენ ანგარიშის გათანაბრებას — 1:1, მაგრამ თბილისელები კვლავ წინ გადიან — 2:1. თამაშის დასასრულისათვის ზ. კალოევი ადიდებს ანგარიშს და მატჩი მთავრდება დინამოელთა გამარჯვებით — 3:1.

## 240 წუთი... უხეშობაში

(დასასრული)

ტემოდ და ქაოტურად მოქმედებდნენ და არაფრით არა ჰგავდნენ ასეთი დიდი მასშტაბის შეჯიბრების ფინალისტებს.

მაგრამ ესეც არაფერი. ფინალურ მატჩს ესწრებოდნენ ორივე უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი მუშაკები, რესპუბლიკური ფედერაციისა და საქალაქო სექციის წარმომადგენლები, მსაჯები, ფეხბურთელები და მთელი ეს აუდიტორია როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის ფეხბურთელებმა არად ჩააგდეს. თავაწყვეტილ უხეშობას ბოლო არ უჩანდა.

პირველ დღეს, როცა მსაჯმა ო. ჯებაშვილმა 11-მეტრიანი საჯარიმო დანიშნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდის კარში, მცველები კანდელაკი და სუპატაშვილი ხულიგნურად მიეჭრნენ მას და მუქარითა და ხელების ქნევით მოითხოვდნენ გადაწყვეტილების გაუქმებას. მსაჯი იძულებული იყო გაეძევებინა კანდელაკი მინდვრიდან. ათმა დარჩენილმა ფეხბურთელმა სასწრაფოდ მიიღო „ტაქტიკური" გადაწყვეტილება და უნივერსიტეტის ორი წამყვანი მოთამაშე დაუყოვნებლივ იქნა ტრავმირებული ისე, რომ ისინი ხელით გაიყვანეს მინდვრიდან.

განმეორებით მატჩში კვლავ უხეშობდა კანდელაკი. გაძევებულ იქნა მინდვრიდან სუპატაშვილი. მას მიაყოლეს უნივერსიტეტის გუნდის წევრები ბარათაშვილი და მანჯგალაძე. ტრავმირებულ იქნა ორივე გუნდის რამდენიმე მოთამაშე.

აი ასეთი იყო ეს ფინალური „ეპოპეა", რომელიც საბოლოოდ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა — 1:0.

უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი ორგანიზაციები იმსჯელებენ მათს კოლექტივებში მყოფი უღირსი სპორტსმენების საქციელზე.

ა. გონელი,
ბ. ქორქია.

## ჰ. გლასი ახალ როლში

კორტინა დამპეცოს ზამთრის ოლიმპიადის მესამე პრიზიორმა, მსოფლიოს ერთ-ერთმა შესანიშნავმა ტრამპლინიდან მხტომელმა ჰ. გლასმა ზუსტად ორი წლის წინათ, ინსბრუკში გამართულ შეჯიბრებისას მოიტეხა ფეხი. იგი დიდხანს მკურნალობდა და მიმდინარე წლის შემოდგომაზე კვლავ შეუდგა წვრთნას, ხოლო 29 ოქტომბერს შვეციის ქალაქ ერნშელდსვიკში გამართულ უძლიერესთა შეჯიბრებაზე მე-5 ადგილიც დაიკავა. მაშინ სპორტული პრესა ახმაურდა, რომ ჰ. გლასი საბოლოოდ დაუბრუნდა ტრამპლინს.

მაგრამ ვარაუდები არ გამართლდა. ამას წინათ ჰ. გლასმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საბოლოოდ გადაწყვიტა თავი დაანებოს ხტომას და დაიწყოს მუშაობა მწვრთნელად. ამ თავის განზრახვას ჰ. გლასი ასაბუთებს იმით, რომ დაზიანებული ფეხი მას საშუალებას არ მისცემს კვლავაც წარმატებით დაიცვას თავისი ქვეყნის სპორტული ღირსება, სამაგიეროდ, როგორც მწვრთნელი, შეეცდება აღზარდოს ახალი ცვლა.

## მატჩი მილანში

საფრანგეთისა და ბულგარეთის მესამე დამატებითმა მატჩმა 16 დეკემბერს მილანის „სან-სიროს" სტადიონზე მსოფლიო ჩემპიონატის უკანასკნელი, მე-16 მონაწილე უნდა გამოარკვიოს. ორივე მეტოქე ამ შეხვედრისათვის საგულდაგულოდ მოემზადა.

ფრანგების მწვრთნელებმა ჟორჟ ვერიემ და ალბერ ბატიომ შეკრება გამართეს პარიზის ახლოს. რადგანაც ფრანგული ფეხბურთის „სამი მუშკეტერი" — ფონტენი, კოპა და პიანტონი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მიიღებს შეხვედრაში მონაწილეობას, ამიტომ მწვრთნელებს მოუხდათ ექსპერიმენტების განხორციელება, განსაკუთრებით თავდასხმაში. აი ფრანგების გუნდი: მეკარე ბერნარი, მცველები ვენდლინგი, ლერონი და როძიკი, ნახევარმცველები მარიანი და ფერიე, თავდასხმა — ვისნესკი, მიულერი, სკიბა, ეტი და ვან სამი. სათადარიგო მოთამაშეები არიან მეკარეები რემეტერი და კოლონა, მცველები ბეგანსკი, ლუდო (ლუდვიკოვსკი), ერბენი, ნახევარმცველი მარსელი, თავდამსხმელები გიია, ვენსანი, მაი, რაი და უულაკი.

როგორც ბულგარეთის სპორტული გაზეთი „ნაროდენ სპორტი" წერს, „საფრანგეთის ნაკრებში 12 ნოემბერს სოფიაში ჩატარებული შეხვედრის შემდეგ თითქმის არავითარი ცვლილება არაა".

ასეთი შემადგენლობით ფრანგებმა ფრედ (1:1) ითამაშეს პარიზში უკანასკნელი საწვრთნელი მატჩი ესპანეთის ეროვნულ ნაკრებთან.

ბულგარელებმა უკანასკნელი „სპარინგ-მატჩი" გამართეს იუგოსლავიის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „ცრვენა ზვეზდასთან" (ბელგრადი). ბულგარელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: მეკარე ნაიდენოვი, მცველები კიტოვი, დიმიტროვი, მეთოდიევი; ნახევარმცველები დიმოვი, კოვაჩევი, თავდასხმა დიევი, ველიჩკოვი, ილიევი, იაკიმოვი, კოლევი.

უნდა ითქვას, რომ იუგოსლაველებმა ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მეტად აგრესიულად მოთამაშე ბულგარეთის ნაკრებს. პირველ ტაიმში ილიევმა (№ 9) ორი ბურთი გაიტანა იუგოსლაველთა კარში, რასაც მეორე ტაიმში დიევმა (№ 7) კიდევ ოთხი დაუმატა. ამგვარად, მატჩის საბოლოო შედეგია 6:0 ბულგარეთის ნაკრების სასარგებლოდ.

როგორც ბულგარელი მიმომხილველები იუწყებიან, „გენერალურმა რეპეტიციამ" იუგოსლაველებთან წარმატებით ჩაიარა. „ახლა ეროვნულ ნაკრებს ისღა დარჩენია, რომ ასეთივე მაღალ დონეზე ითამაშოს მილანში". — წერს გაზეთი „ნაროდენ სპორტი".

რედაქტორი ი. უზულავა.


დღეს!



კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
ა. როზოვის
„ფეხბურთელები"
დასაწყისი 19 ს. 30 წ.
სპექტაკლის შემდეგ საქართველოს სპორტკავშირის აგიტაცია-პროპაგანდის საბჭო და ფეხბურთის ფედერაცია თეატრის კოლექტივთან ერთად აწყობს სპექტაკლის საჯარო განხილვას.



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ.
უე 05714